საქართველოს მისია ნატოსთან
MISSION OF GEORGIA TO NATO

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო
წარმომადგენელი ნატო-სა და ევროკავშირში
CIVIL REPRESENTATIVE OF THE MINISTRY OF DEFENCE
OF GEORGIA TO NATO AND EU

№ 13/1/22
«21» 04 , 2017

# მარიანა მკურნალის სარეკომენდაციო წერილი

მარიანა მკურნალს ვიცნობ 2009 წლიდან, როდესაც მან დაიწყო მუშაობა საქართველოს თავდაცვის სამინისტროში, მინისტრის მოადგილის თანაშემწის პოზიციაზე. ჩვენი თანამშრომლობა გაგრძელდა 2015 წლიდან, როდესაც დავინიშნე მის უშუალო უფროსად, ბრიუსელში, თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო წარმომადგენლად ნატოსა და ევროკავშირში. ამ პერიოდში მარიანა გამოირჩეოდა საქმისადმი უაღრესად პასუხისმგებლიანი დამოკიდებულებით, რაც გამოიხატებოდა მის ყოველდღიურ საქმიანობაში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი უნარი კრიტიკულ სიტუაციებში იმოქმედოს მშვიდად და თავდაჯერებულად. მარიანა არის კომუნიკაბელური და ყოველთვის მზად არის დაიცვას კოლეგების სამართლიანი ინტერესი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში სამინისტროს აპარატის (დეპარტამენტი) საერთაშორისო ურთიერთობებისა და აპარატის საქმისწარმოების სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე დანიშვნის შემთხვევაში, მარიანა მკურნალი წარმატებით გაართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობებს, ხოლო სამინისტრო შეიძენს პროფესიონალ და საქმისადმი ერთგულ თანამშრომელს.

*პატივისცემით,*

**დავით ნარდაია**

მისამართი/Address: VA Building, NATO HQ, 1110 Brussels, Belgium
ტელ./Tel.: (+32) 2 707 27 09 ფაქსი/Fax: (+32) 2 707 27 32 ელ.-ფოსტა/E-mail: civilrep-geo@mod.gov.ge